

## კვირის მიმოხილვა


20-26 ოქტომბრის პერიოდში შემდეგი ტენდეცია გამოიკვეთა:

- კვირის მთავარი თემა - ადიგენის სოფელ მოხეში მუსლიმ და მართლმადიდებელ მრევლს შორის საკულტო ნაგებობასთან დაკავშირებით დაპირისპირება სტანდარტების დარღვევით გააშუქეს რუსთავი 2-მა და სააგენტო პირველმა;
- სიძულვილის ენას და

ძალადობისკენ მოწოდებას კვლავ ნაციონალური მოძრაობის მიმართ ჰქონდა ადგილი, ასევე პარლამენტი თავმჯდომარის და სხვა პირთა მიმართ (რეზო ამაშუკელი, პოეტი), ხოლო ISIS-ის მეზომოლის მხრიდან ქობულეთში მუსლიმთა პანსიონზე ღორის თავის დამაგრების ინციდენტის გამო აჭარის მთავრობის თავმჯდომარის არჩილ ხაბაძის მიმართ;

გაგრძელება გვ. 2

## # 31, 20-26 ოქტომბერი



## რეაზირება

## 3 ნოემბერი

საჩივარი რუსთავი 2-ის თვითრეგულირებაში გადაცემა P.S.-ის სიუჟეტთან დაკავშირებით



„მედიის განვითარების ფონდმა“ „ქართველ მუსლიმთა კავშირთან“, „ადამიანის უფლებების მონიტორინგისა და სწავლების ცენტრთან“ და „ტოლერანტობისა და მრავალფერვნების ინსტიტუტთან“ ერთად 3 ნოემბერს ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ს თვითრეგულირების

ორგანოს საჩივრით მიმართა.

საჩივრის საფუძველი 26 ოქტომბერს „რუსთავი 2“-ის გადაცემა „პოსტსკრიპტუმ-ში“ ადიგენის სოფელ მოხეში სადავო საკულტო ნაგებობის საკითხის გაშუქება გახდა.

როგორც საჩივარშია აღნიშნული გადაცემის წამყვანმა დავით კიკალიშვილმა მოხეში საკულტო ნაგებობასთან დაკავშირებით სიუჟეტის

გაგრძელება გვ. 2

## შინაარსი

კვირის თემა - მოხეში განვითარებული მოვლენები	3
სიძულვილის ენა	3
ძალადობისკენ მოწოდება	3-4
თურქოფობია	4-5
რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია	5
ანტიდასავლური განწყობები	6-7
ჰომოფობია	7
გენდერული თემატიკა	8

## კვირის მიმოხილვა

### დასაწყისი გვ.1

- ანტითუქრული განწყობები საქართველოში ნატოს საწვრთნელი ცენტრის სავარაუდო გახსნას და ბათუმში მეჩეთის მშენებლობის თემას უკავშირდებოდა;
- რელიგიურ ნიადაგზე დისკრიმინაცია ხანუქას დღესასწაულის საჯარო აღნიშვნის წინააღმდეგ დაგეგმილ პროტესტს და იეჰოვას მოწმეთა სასარგებლოდ სტრატეგურგის სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას უკავშირდებოდა;
- ანტიდასავლური განწყობები ძირითადად გაზეთ "ასავალ-დასავალში", მედია-კავშირ "ობიექტივსა" და ინტერნეტ პორტალებზე საქინფორმი და geworld.ge იყო წარმოდგენილი;
- ჰომოფობია გაზეთ "ასავალ-დასავალის" ჟურნალისტების და პოეტ რეზო ამაშუკელის მხრიდან იყო გამოხატული;
- გენდერული სტერეოტიპები ოჯახური ძალადობის ფაქტებს უკავშირდებოდა.

## რეაბირება

### დასაწყისი გვ.1

წარდგენისას, დაარღვია მიუკერძოებლობის პრინციპი, როდესაც პირადი სუბიექტური დამოკიდებულება მაყურებელს სიუჟეტის ეთერში გასვლამდე შესთავაზა ("ჩემი აზრით, ცალკე ადებულ მოხეში მომხდარ კონფლიქტში უკვე მუსლიმური თემი სცოდავს, რადგანაც სადავო შენობის გარშემო უფრო მეტი მეჩეთია, ვიდრე ეკლესია"). საკამათო იყო ასევე ჟურნალისტის მიერ ერთ-ერთი მუსლიმი რესპონდენტის მიმართ დასმული შეკითხვა - „და აუცილებლად აქ უნდა ილოცო?“

„აღმსარებლობის თავისუფლება, ისევე როგორც არჩევანის თავისუფლება, თუ სად ილოცო - ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა, რომლის განსაზღვრა ჟურნალისტის დისკრეციას არ წარმოადგენს“, - განმარტებულია საჩივარში.

გადაცემის წამყვანმა დაარღვია საავტორო გადაცემის წამყვანისადმი კოდექსით წაყენებული მოთხოვნები (მუხლი 17.2), რომლის თანახმად, "საავტორო პროგრამის წამყვანმა არ უნდა გამოიყენოს საკუთარი მდგომარეობა საკუთარი მოსაზრების იმ ფორმით გავრცელებისათვის, რომელმაც შეიძლება ხელყოს პროგრამის მიუკერძოებლობა." გადაცემაში ასევე დარღვეული იყო მაუწყებელთა ქცევის კოდექსის 33.1-ე მუხლიც, რადგან წამყვანმა საქართველოს მოქალაქე მუსლიმთა უფლებრივი საკითხი დაუსაბუთებლად დააკავშირა უარყოფით მოვლენებთან.

ოგრანიზაციები მიმართავენ ტელეკომპანიის თვითრეგულირებას, იმჯელოს „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ მე-16.2, მე-16.4, მე-17.2, 31.1-ე, 31.2-ე, 33.1-ე მუხლების დარღვევაზე.

## კვირის თემა - მოსახლეობის განვითარებაში მოვლენები

კვირის მთავარი თემა - ადიგენის სოფელ მოხეში აჭარელი მუსლიმების საკულტო ნაგებობასთან დაკავშირებული კონფლიქტი მედიამ ვრცლად გააშუქა. საზოგადოებრივი მაუწყებლის მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში კონფლიქტთან დაკავშირებული მოვლენების გადმოცემისას კეთ-დებოდა ჩართვები და წარმოდგენილი იყო მოსაზრებათა ფართო სპექტრი (სახელმწიფო სტრუქტურების, სახალხო დამცველის ოფისის, მუსლიმთა სასულიერო ლიდერების).

აღნიშნული დაპირისპირება სტანდარტების დარღვევით გააშუქა ტელეკომპანია რუსთავის 2-ის გადაცემა პოსტსკრიპტუმმა, რის გამოც არასამთავრობო ორგანიზაციებმა ტელეკომპანიის თვით-თრეგულირების ორგანოს საჩივრით მიმართეს (იხ. გვ. 1-2). სააგენტო პირველის ინფორმაციაში "მოხეში მუსლიმები მედიას და პოლიციას დაუპირისპირდნენ" შეიცავდა დამატებით ცნობებს ადგილობრივი მუსლიმების მხრიდან მედიასთან დაპირისპირების შესახებ, რაც არცერთ სხვა მედია საშუალებაში არ გაშუქებულა. ინფორმაციაში არ არის დაკონკრეტებული, რომელი მედია საშუალების წარმომადგენელს მიაყენეს შეურაცხყოფა ადგილობრივმა მუსლიმებმა, განზოგადებული ხასიათისაა ინფორმაციის სათაურიც.



სადავო საკულტო ნაგებობა ადიგენის სოფელ მოხეში . ტელეკომპანია მე-9 არხის ფოტო

## სიკუპლვილის ენა

ასაგალ-დასაგალი,  
20-16 ოქტომბერი

**ჯონდი ბალაშურიკა, ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიცია:**

„ნაციონალური მოძრაობა არის სიმსივნე, რომელსაც მეტასტაზები გაშვებული აქვს როგორც ხელისუფლებაში, ასევე - ოპოზიციაშიც! და თუ ეს სიმსივნე დროზე არ ამოიკვეთა, ის არა მხოლოდ „ოცნების“ მთავრობას, არამედ მთელ ქვეყანას შეიწირავს!“

რეპორტიორი, 22 ოქტომბერი

**სათუნა შორღანია, მომდერალი:** “რაც შეეხება 10-ლარიან დაუბანელ, ბინძურ, ნაციონალების მარიონეტებს, შეწყვიტეთ ტელეთერში მათი მოწვევა, თუ არა და, უკვე გადა-

ვდივარ უკიდურეს ზომებზე. მოვუწოდებ მთელ თბილისს, ვინც ისე ფიქრობს, როგორც მე - სადაც დაინახავთ ამ აყროლებულებს - ურტყით, ჩაქოლეთ, აფურთხეთ და არ დაგავიწყდეთ პანჩურები... მე ხვალიდან ასე მოვიქცევი.”

<http://www.reportiori.ge/?menuid=3&id=42399>

ასაგალ-დასაგალი,  
20-26 ოქტომბერი

**დიტო ჩუბინიძე, ჟურნალისტი:** „მოაშორეთ [მიმართავს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს] საქართველოს მამათმავლებისა და ზონდერ გამაუპატიურებლების უსტაბაშის - აქოთებული მიხეილ სააკაშვილის პარტიული დროშა, ღერბი და ჰიმნი!“

## კალაღობისკენ მოწოდება

ალია, 23 ოქტომბერი

**რამო აბაშუკაძე, პოეტი:** "რაც შეეხება შოლებს, სანამ ხალხი იმ ჭკუაზე არ დადგება, რომ შეუვარდება და თავპირს დაამტვრევს ყველა იქ მყოფს, ეგენი მანამდე არ მოისვენებენ!..

მთელი საქართველო მირეკავს და მეუბნება, გავვიძეხი წინო და სახლებიდან გამოვართვე მაგათ [ნაციონალებს]...

როგორ გგონიათ, რა, გიგი თევზადმს შერჩება რამე? ან თუთბერიძეს? ან დავით ზურაბაშვილს? ან პარლამენტის თავმჯდომარე რომა ბანაკიდან გამოქცეულ პიონერს რომ ჰგავს? ჩემგან არ იქნება დანდობა, რადგანაც მე თავი გადადებული და შიმის ზღვარი გადალახული მაქვს უკვე და ბოლომდე მივივან საქმეს...

სანამ პირს გაალებენ, თითო "აბოიმას" მიიღებენ მუცელში ეგ "ნაბოზვრები"! "გაგრძელება გვ. 4

## კალაღობისკენ მოწოდება

დასაწყისი გვ.3

### საქინფორმი, 20 ოქტომბერი

**არნო სიღირებებიშვილი, საქინფორმი:** „ამ ჯალათებისთვის მართო პატიმრობა არ კმარა - ძალიან მალე სახალხო მოთმინების ფიალა აივსება და მიშისტებს ლინჩის სასამართლო ელოდება! ეს თვეების კი არა, დღეების საკითხია.“

[http://saqinform.ge/index.php?option=com\\_content&view=article&id=20944:2014-10-20-07-08-07&catid=115:redaksiisagan&Itemid=530#ixzz3hwctdi27](http://saqinform.ge/index.php?option=com_content&view=article&id=20944:2014-10-20-07-08-07&catid=115:redaksiisagan&Itemid=530#ixzz3hwctdi27)

### კვირის ქრონიკა, 20-26 ოქტომბერი

**ლევან ჯავახიშვილი, ჟურნალისტი:** „ვატყობ, ამ ხალხს მართლა ყელში უნდა ამოუყვანონ, მოთმინების ძაფი უნდა გაუწყვიტონ და სადაც რომელიმე „ნაციონალს“ გადაეყრებიან, იქვე მისაკლავებენ, ან ძვლებში დაამტვრევენ და დაახეიბრებენ.“

### საქინფორმი, 24 ოქტომბერი

**თამაზ ჭალაღია, ISIS-ის მეგრძოლი:** „მე როგორც ჩემები დამატოვებინეს და დედა ატირეს, ასე იტირებს ბევრის დედა, თუ არ "მოკეტავენ" და თუ ქობულეთში ბავშვებს ერთ კვირაში სასწავლებელში არ შეუშვებენ, ხაბამეს თავს წავაგდებინებ ადრე თუ გვიან!“

[http://saqinform.ge/index.php?option=com\\_content&view=article&id=21018:q-----q-----&catid=98:politics&Itemid=457#ixzz3HXBA5HvR](http://saqinform.ge/index.php?option=com_content&view=article&id=21018:q-----q-----&catid=98:politics&Itemid=457#ixzz3HXBA5HvR)

## თურქოფობია

### ოზიმატივი, ღამის სტუდია, 20 ოქტომბერი

**ღამით თარსან-მოურავი, პატრიოტა ალიანსი:** „ნატო-სთან ერთად აქ გავხსნით ჩვენ საწვრთნელ ცენტრებს, რომლებშიც სხვათა-შორის თურქები, თურქები მოამზადებენ...“

თურქეთს თავისი პრობლემა აწუხებს, რომ იქ-აური ქურთები დამოუკიდებლობას ითხოვენ და ამის გამო თვალს ხუჭავს იმაზე, რომ იქ 1000-ობით ხალხს ყელს ჭრიან, მაგალითად. ეს უნდა გვესმოდეს და იმაზე უნდა ვიფიქროთ ჩვენ როგორ შემოგვიტრიალდება ეს ამბავი და ჩვენთან როგორ მოიქცევა თურქეთი?! ხომ არ გვგონია ჩვენ, რომ უკეთესად მოიქცევა?!“

[http://www.myvideo.ge/?video\\_id=2434256](http://www.myvideo.ge/?video_id=2434256)

[http://www.myvideo.ge/?video\\_id=2434268](http://www.myvideo.ge/?video_id=2434268)

### ოზიმატივი, ღამის სტუდია, 22 ოქტომბერი

**ღამით თარსან-მოურავი, პატრიოტა ალიანსი:** "თურქები იყვნენ ძირითადი მწვრთნელები და აღმჭურველები და ეს არ მომწონდა მე, იმიტომ, რომ მე არ ვთვლი, რომ თურქეთი ჩვენი მეგობარი სახელმწიფოა..."

საქართველოში შექმნილ სამხედრო ცენტრებში

თურქების მიერ აშენებულში, თურქებივე გაწვრთნიან სხვადასხვა ადამიანებს და აქედან ძალიან ბევრი ადამიანი წავა შემდეგ და რაღაც-ნაირად მიიღებს სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობას ხალიფატის წინააღმდეგ."

**ბონდო მინარაშვილი, ჟურნალისტი:** "ეს, ფაქტობრივად, იმას ნიშნავს, რომ თურქეთი იცილებს თავის ტერიტორიიდან საფრთხეს და საქართველოს ტერიტორიაზე გადმოდის საფრთხე, ხალიფატი დაინტერესდება საქართველოს დასჯით, იმისათვის, რომ მან დაუთმო თავისი ტერიტორიები მოწინააღმდეგის წრთვას."

[http://www.myvideo.ge/?video\\_id=2435729](http://www.myvideo.ge/?video_id=2435729)

### ოზიმატივი, ღამის სტუდია, 24 ოქტომბერი

**ტელემაყურებელი:** „ახლა ამ შემთხვევაში, ვლასარაკობ, აი, ამ მეჩეთის თემასთან დაკავშირებით, ეს ხალხი აშკარად შეგულიანებულია თურქების მიერ. ეს ბათუმში ძან იგრძნობა, ამას ჩვენმა პრეზიდენტმა შეუწყო ხელი, რომელმაც საკმაოდ ბევრი საეჭვო მოქალაქეობა მიანიჭა...“

[http://www.myvideo.ge/?video\\_id=2437185](http://www.myvideo.ge/?video_id=2437185)

გაგრძელება გვ. 5

**თურქოფობია**

დასაწყისი გვ.4  
**GEWORLD.GE, 23 ოქტომბერი**

**მირაბ ბლადამე, არასამთავრობო ორგანიზაცია:** "წინააღმდეგი ვარ, ქვეყნის გარედან რომ ავინანსებენ მედრესეებისა და მეჩეთების მშენებლობას. აჭარაში გაჩნდნენ ვაჭაბიზმის მიმდევრები, ამიტომ, თუ სახელმწიფომ არ გააკონტროლა თურქების თავის ჭკუაზე სიარული, თუ არ დასრულდა ეს ბაკქანალია, მივიღებთ ისეთ ცუდ შედეგს, როგორც ამჟამად არის პანკისში. 10-15 წლის წინათ პანკისში თითო-ორი ვაჭაბისტი ცხოვრობდა, დღეს კი - რამდენიმე ასეული..."  
<http://geworld.ge/View.php?ArtId=6249>

**ასავალ-დასავალი, 20-26 ოქტომბერი**

**ირინა გომოსაშვილი, ჟურნალისტი:** „ვეკითხები მთელ საქართველოს - რა უფრო ქართული იყო, ის, რომ ასლან აბაშიძის დროს ერთი გოჯა მიწა თურქებზე არ გაყიდულა, აჭარაში ერთი თურქული რესტორანი არ ყოფილა და 2-3 მეჩეთი არსებობდა, თუ ის არის ქართული, დღეს ის-ლამის კოსმოდრომებს, რომ დაამსგავსეს აჭარა?!..“

თუ ასე გაგრძელდა, ძალიან მალე აჭარა, შესაძლოა, საქართველოს შემადგენლობაში აღარც იყოს!“

**რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია**

**ალია, 23 ოქტომბერი**

**გურამ ფალავანდიშვილი, ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიცია:**

"როცა ხანუქას გამოაბრძანებენ ქუჩაში ამით პროცესის თანამონაწილეს გვხვდით მართლმადიდებელ მრევლს. ამ დღესასწაულის თავზე მოხვევა არის დაპირისპირების წინაპირობა. თავის სახლში ვისაც რა უნდა, ის გააკეთოს, მაგრამ როცა შენ ეს ქუჩაში გამოგაქვს და გინდა, რომ მართლმადიდებელ ქრისტიანს აზვიადებო ქრისტეს უარყოფა, ეს მიუღებელია. ეს ყველაფერი შეიძლება უცხოელი რაზმებიდან მოდის და სულაც არ არის ქართველი რაზმების სურვილი..."

როგორც 17 მაისს ჩამოვიართე ჩვენ ღირებულებების დასაცავად, ისევ ისე ჩამოვი-

ლით. ადამიანებს არ ვეხებო. ვეხებით იმ კერპს, რომელიც ჩვენ შეურაცხვეფოფს. თუ ისე დაიცავენ რომ ვერ ჩამოაგდონ, რაღაც დაფუძნებულ შორიდან. თავისთავად არ იქნება იარაღი გამოყენებული. ვიმეორებ, თუ არ გაითვალისწინებენ თხოვნას, ამას მოწყვება დაპირისპირება."

**ასავალ-დასავალი, 20-26 ოქტომბერი**

**ბასილ მკალავიშვილი, მღვდელი:** „სტრასბურგის სასამართლო ელოდებოდა საქართველოში საბედისწერო „ანტიდისკრიმინაციული კანონის“ მიღებას, რომლის შემდეგაც მყარი ნიადაგი შეექმნათ იელოველებისა და სხვა სექტების მზაკვრული იდეების განსახორციელებლად... ფაქტები არსებობს, თუ როგორ შედიოდნენ იელოველები მიტოვებულ ეკლე-

სიაში და ბილწავდნენ იქა-ურობას - ხატები, ჯვრები გამოჰქონდათ და ნაგვის ურნაში ყრიდნენ. ახლა კი, როცა სტრასბურგის სასამართლომ საჯაროდ დაიცვა მათი უფლებები, წარმოიდგინეთ, როგორი გააფრთხილებით გაილაშქრებენ მართლმადიდებლობის წინააღმდეგ!“

**ოზიმაქივი, ღამის სტუდია, 24 ოქტომბერი**

**ტელემყურებელი:** "ეს საკითხი [სოფელ მოხეში მეჩეთში კულტურის ცენტრის გახსნა] აღარ წარმოიშობა და გარდა ამისა, უნდა ჩატარდეს რეფერენდუმი. ნებისმიერი რაიონი იქნება, თუ ქალაქი იქნება, იქ მაცხოვრებლებმა უნდა ჩაატარონ რეფერენდუმი, როგორც ეს არის შვეიცარიაში."  
[http://www.myvideo.ge/?video\\_id=2437173](http://www.myvideo.ge/?video_id=2437173)  
[http://www.myvideo.ge/?video\\_id=2437177](http://www.myvideo.ge/?video_id=2437177)



**გურამ ფალავანდიშვილი, ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიცია:**

"როცა ხანუქას გამოაბრძანებენ ქუჩაში, ამით პროცესის თანამონაწილეს გვხვდით მართლმადიდებელ მრევლს... როგორც 17 მაისს ჩამოვიართე ჩვენ ღირებულებების დასაცავად, ისევ ისე ჩამოვივებებით იმ კერპს, რომელიც ჩვენ შეურაცხვეფოფს. “

ანტიდასავლური განწყობები

ასავალ-დასავალი, 20-26 ოქტომბერი

ნანა ღმრღარიანი, გლობალური კვლევის ცენტრი [ყოფილი სახალხო დამცველი]: „ამას [იგულისხმება მამაკაცთა სავარაუდო გაუპატიურების ფაქტები სამეგრელოს ტყეებში არსებულ ბუნკერში] ჰიტლერული ნაცისტებიც კი არ აკეთებდნენ! ამას, იცით, ვინ აკეთებდნენ?! ამერიკელები აზუგრევის ციხეში, როდესაც ჯარისკაცები მუსლიმ პატიმრებს აუპატიურებდნენ და თან სურათებს უღებდნენ! დიახ, სააკაშვილსა და მის თანამზრახველებს პატიმრების გაუპატიურება ამერიკელმა ინსტრუქტორებმა ასწავლეს!“

ასავალ-დასავალი, 20-26 ოქტომბერი

თინა ჭუბაძე, ეკლესიის მესანთლე: „მაგათ [არასამთავრობო ორგანიზაციებს] ფულს საზღვარგარეთიდან მართლმადიდებელი ქრისტიანობის დასაცავად კი არა, იეღოველებისა და სხვა ათასი ჯურის სექტანტების გასაძლიერებლად და მხარდასაჭერად აძლევენ.“

ასავალ-დასავალი, 20-26 ოქტომბერი

ზოზა ხაინდრაშა, კინორეჟისორი: „კარლ ბილდტის მაგალითი აჩვენებს, რომ დღეს ევროპა პოლიტიკური კორუფციით ცხოვრობს და ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებს.“

ჩვენდა სამწუხაროდ, მსოფლიო დემოკრატიის ფლაგმანი [აშშ] აყროლდა! დიახ, მსოფლიო პოლიტიკური ისტებლიშმენტის ნაწილი სიმყრალემი იხრჩობა!“

GEWORLD.GE 21, ოქტომბერი

კამლპტი ჭიკაშვილი, პოლიტოლოგი: "ამერიკის საელჩო კი იმ მიზნით გაიხსნა, რომ შეესწავლათ, რას წარმოადგენდა საქართველო და რა "ცხოველები" ვიყავით ჩვენ." <http://geworld.ge/View.php?ArtId=6238&>

GEWORLD.GE, 22 ოქტომბერი

არამან აბოშიანი, ანალიტიკოსი: "გამოიყვანო ადამიანები თანამოქალაქეები და აიძულო, დახოცონ ერთმანეთი, ამას "მორალური და ეთიკური" ფონის მომზადება სჭირდება. რასაკვირველია, პარალელურად მიმდინარეობდა სექტანტების მიერ მართლმადიდებელი ეკლესიის ავტორიტეტის დისკრედიტაცია... დღეს კი კიევის ქუჩაში გამოდიან ადამიანები, რომლებსაც რთულია, უწოდო

ფაშისტებიც კი. ისინი მზად არიან, ნებისმიერს სასტიკად გაუსწორდნენ, ვინც მათ შეეწინააღმდეგება და ვინც ევროინტეგრაციის წინააღმდეგია."

საქინფორმი, 23 ოქტომბერი

საქინფორმი: " სომეხი ექსპერტის განცხადებით, დასავლეთი თავისი პრობლემების გადასაჭრელად სხვა ქვეყნებს თვითმკვლელობას სთავაზობს, ხოლო, ე. წ. ფერად რევოლუციებს ქვეყნები სახელმწიფოებრიობისა და ტერიტორიული მთლიანობის დაკარგვისკენ მიჰყავს".

ტარიმლ ბაზნიძე, არასამთავრობო ორგანიზაცია "ისტორიული მემკვიდრეობა": "დასავლეთს ასევე არ აწუხებს სომეხი ხალხის ზედი... დასავლეთს ასევე არ ადარდებს ქართველი ხალხის ინტერესები, მაგრამ მას სურს საქართველოს ტერიტორია ნატოს ბაზების განსათავსებლად. სააკაშვილმა შეამინა ამერიკელები თავისი ფსიქიკური გაუწონასწორებლობით და ის ჩანაცვლეს უფრო გონიერი პიროვნებებით, მაგრამ, ვითარებიდან გამომდინარე, ამერიკელებს საქართველოში ზუსტად ფსიქიკურად არანორმალური მმართველი დასჭირდათ."

სერგეი შაპარიაძე, პოლიტოლოგი: "დემოკრატია კი ხალხის მმართველობას ნიშნავს და არა ჩვენს ხალხებზე ამერიკის და ევროკავშირის ბატონობას." [http://saqinform.ge/index.php?option=com\\_content&view=article&id=20996:-2014-18-&catid=109:arno&Itemid=538#axzz3j8qM3d2g](http://saqinform.ge/index.php?option=com_content&view=article&id=20996:-2014-18-&catid=109:arno&Itemid=538#axzz3j8qM3d2g)

GEWORLD.GE, 23 ოქტომბერი

გივი სომხიშვილი, მწერალი: "კათოლიკურ ევროპას კაცობრიობის წინაშე სირცხვილის ლაქად ატყვია ინკვიზიციის საზარელი ცოდვები... სადიზმითა და სივრუით გამორჩეული ავკაცობანი... ნურც ის დაავიწყდებათ, რომ კაცობრიობის საზარელმა ჭირმა - ფაშიზმმა დასავლეთ ევროპაში აიღო სათავე..."

გათავებულნი ამერიკა, რადგან ხელის შემშლელი აღარავინ დარჩა, საქათმის გაზულუქებული მამალივით, ვინც არ მოეწონება, უნისკარტებს. ახლა საბჭოთა კავშირის ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების გადაბირება მოისურვა და რუსეთისთვის ღრენას უმატა."

<http://geworld.ge/View.php?ArtId=6253>

გაგრძელება გვ. 7

## ანტიდასავლური განწყობები

დასაწყისი გვ.6

### GEWORLD.GE, 23 ოქტომბერი

**გულბაათ რცხილაძე, ევრაზიის ინსტიტუტი:** "მართლმადიდებლობის აღორძინებასა და მართლმადიდებელი ხალხების ერთიანობას ალტერნატივა არ აქვს. დასავლეთის ექსპანსია ჯერ კიდევ გრძელდება, მაგრამ რუსეთის სიმტკიცის გამო დასასრულისკენ მიდის, ამიტომ ყველა ჩვენგანმა უნდა გაიგოს: უკრაინაში მიმდინარე მოვლენები არც სეპარატიზმია და არც ერთი სახელმწიფოს ტერიტორიების მითვისება მეორე სახელმწიფოს მიერ, ეს ყოველივე გლობალური ცივილიზაციური დაპირისპირების ნაწილია!"  
<http://geworld.ge/View.php?ArtId=6251>

### ობიექტივი, ღამის სტუდია, 22 ოქტომბერი

**ტელემაყურებელი:** "იმათვის [ამერიკელებისთვის] უცხოა ფაშიზმი საერთოდ?! თუ აბუ გრეივის ციხე დაგავიწყდათ? თუ დაგავიწყდათ ერაყში რა ჩაიდინეს ამერიკელებმა? აზოტის, ფოსფორის შემცველი ბომბები რომ ჩამოყარეს, რომელიც ხორცს ძვლამდე წვავს და გაეროს კონცეფციით რომ აკრძალული იყო. უამრავი ადამიანი დახოცეს უდანაშაულო. მართლმადიდებელი ეკლესიების წინააღმდეგ, ზუსტად ეკლესიები დაღეწეს საქართველოში."  
[http://www.mvvideo.ge/?video\\_id=2435832](http://www.mvvideo.ge/?video_id=2435832)

### ასავალ-დასავალი, 20-26 ოქტომბერი

**გიორგი გიბაური, ჟურნალისტი:** "აკი, გითხარით, საკაშვილისა და ლგბტ ვაჭარაძის იდეალი ის ევროპაა, რომელიც უმადლეს საკანონმდებლო ორგანოში დიდი პატივით მასპინძლობს კონჩიტას!"

### საქინფორმი, 20 ოქტომბერი

**არნო სიღირაშვილი, საქინფორმის მთავარი რედაქტორი:** „ძალიან ვწუხვარ, რომ [ირაკლი ალასანია]... აჰყვა ავანტიურას, რომელიც, დარწმუნებული ვარ, ბომჟი, იაფფასიანი აფერი-სტი და საერთაშორისო სისხლის სამართლის დამნაშავე - მკვლელი სააკიანისა და მისი ამერიკელი ბოსების - მაკკეინის ტიპის პროვოკატორებისგან მოდის.“  
<http://bit.ly/1wzRYuZ>

## კომოვობა

### ალია, 23 ოქტომბერი

**რამო ავაშუაძე, პოეტი:** "კაცი კაცს აღარ ჰგავს და ქალი-ქალს, გააპედერასტეს და გააბოზეს მთელი საქართველო."

### ასავალ-დასავალი, 20-26 ოქტომბერი

**გიორგი გიბაური, ჟურნალისტი:** "რა თქმა უნდა, ამ ვაჭარაძესა და მისთანებს მთლად ბოლომდე ვერ გაურკვევიათ, ქალები არიან თუ კაცები, მაგრამ ეს ხომ არ ნიშნავს, რომ ამ არსებებს საქართველოს პრეზიდენტმა ოფიციალურად უმასპინძლოს?!.."

მარგველაშვილი მართლა პატივს, რომ სცემდეს მის უწმინდესობას, ვაჭარაძეს საპრეზიდენტო რეზიდენციაში არ უმასპინძლებდა!..

აი, ამიტომც არის მარგველაშვილი მხოლოდ ლიბერასტებისა და ლგბტ-სექტის პრეზიდენტი!..

ანუ ევროპარლამენტმა თავის კონჩიტას უმასპინძლა დიდი პატივით, მარგველაშვილმა კი - აქაურს!"

### კვირის ქრონიკა, 20-26 ოქტომბერი

**გიორგი ჯიქიაშვილი, ჟურნალისტი:** „...17 მაისს ქათმების მხარდასაჭერად რა განცხადებები გაკეთდა, ისიც კარგად გვახსოვს...“

ახლა საკითხავი მხოლოდ ის არის, რა დრო დასჭირდებათ ლიბერასტებს ადამიანების ცნობიერებიდან ეროვნული ღირებულებების სრულად ამოსაძირკვად.“



**გიორგი გიბაური, ჟურნალისტი:** "რა თქმა უნდა, ამ ვაჭარაძესა და მისთანებს მთლად ბოლომდე ვერ გაურკვევიათ, ქალები არიან თუ კაცები, მაგრამ ეს ხომ არ ნიშნავს, რომ ამ არსებებს საქართველოს პრეზიდენტმა ოფიციალურად უმასპინძლოს?!.."

## გენდერული თემატიკა

### რეპორტიორი, 20 ოქტომბერი

**ჯონდი ბალაშვილი, ქართული დასი:** „ქმარი რომ ცოლს დაუპირისპირდება, ეს ნამდვილად არ არის ხელისუფლების ბრალი. ოჯახში ძალადობა სირცხვილია, მაგრამ ეს არამართო საქართველოში ხდება...“

მივმართავ ელექტრონული მედიის ზოგიერთ ნაწილს - ნუ ცდილობთ, რომ ქართველი ერი წარმოაჩინოთ დაბალი დონის ერად, ქვეყანად, სადაც ქმრები ცოლებს ხოცავენ.“

<http://www.reportiori.ge/?menuid=3&id=42195>

### რეპორტიორი, 21 ოქტომბერი

**ილია მორე, პატრიარქი:** "საღმრთო წერილი ამბობს, რომ ოჯახში მთავარი არის ქმარი. ოჯახი ესაა ერთი სხეული და არ შეიძლება ერთ სხეულზე იყოს ორი თავი. ეს შეუძლებელია... ადამიანის ბედნიერება უპირველესად ერთმანეთის სიყვარული და პატივისცემაა. მაგალითად, როცა ქმარი მოდის სამსახურიდან, შენ უნდა შესთავაზო დასვენება, უნდა შესთავაზო ფეხების დაბანა, შესთავაზო საჭმელი, სითბო უნდა აჩვენო შენს ქმარს. მინდა კიდევ ერთხელ დაფიქრდეთ თქვენს მოვალეობაზე“.

<http://www.reportiori.ge/?menuid=3&id=42367>

### ალია, 23 ოქტომბერი

**რეზო აგაშუკაძე, პოეტი:** "... პატრიარქს რას უბედავენ ეს ფემინისტკები, ეს ბოზები და ამ სიტყვას გადატანითი მნიშვნელობით არ ვამბობ, დაატრიალონ თავიანთი გადაცემები და ნახონ, რომ ყარს მაგათი გადაცემები, ყროლის სუნი უდის, რადგანაც მთელი ქვეყანა გადააგვარეს თავისი უსაქციელობით და გამოდიან ახლა და ამბობენ, მთავრობის ბრალია ყველაფერი.“

### პირველი, 21 ოქტომბერი

**ანრი ჯონსამი, მომღერალი:** "ქალებო! სწორად აირჩიეთ ცხოვრების თანამგზავრი, ნუ ისე მაინც, რომ საკუთარი შეცდომა თქვენივე სანანებელი გახდეს..."

ქალების მენტალური პრობლემა უფროა, რომ ბოლოს საკუთარ მკვლევლებზე აკეთებენ არჩევანს“.

[http://pia.ge/show\\_internet\\_daijest\\_news.php?id=10369&lang=geo](http://pia.ge/show_internet_daijest_news.php?id=10369&lang=geo)

### პვირის კალიტრა, 20-26 ოქტომბერი

**მირაბ მებრძვლი, ჟურნალისტი:** "ასეთი ფაქტების [ოჯახური ძალადობის] მთლიანად გამორიცხვა ალბათ შეუძლებელი იქნება, მაგრამ ნამდვილად შემცირდება, თუ ქალები თავიანთ არჩევანზე უფრო მეტს იფიქრებენ. ცოლის მკვლელი კაცები ხომ ამაზრზუნები არიან, მაგრამ, ქალებო, სანამ ვინმეს ცოლად გაჰყვებით, კარგად გაიცანით, ყველა გიჟს კი არ უნდა გაეკიდოთ!"